სად ვახორციელებთ პატრულირებას

გარდა ჩვენი თბილისში მდებარე სათაო ოფისისა, გვაქვს სამი რეგიონალური ოფისი მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში, საიდანაც ვაგზავნით ჩვენს საპატრულო ჯგუფებს. ჩვენი სადამკვირვებლო მანდატი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები კვლავ არ გვაძლევენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე შესვლის შესაძლებლობას.

ჩვენ ვისმენთ

ჩვენი დამკვირვებლები მუდამ მოხარულნი არიან გესაუბრონ თქვენ. ქართულ და რუსულ ენაზე მოსაუბრე თარჯიმნები მუდამ თან ახლავს ჩვენს დამკვირვებლებს.

გვეწვიეთ: www.eumm.eu

@ eummgeorgia

EUMM

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

ვინ ვართ ჩვენ

ჩვენ ვართ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში. ჩვენ წარმოდგენილნი ვართ 200-ზე მეტი შეუიარაღებელი დამკვირვებლით მთელი ევროკავშირიდან. თქვენ შეგიძლიათ მარტივად გვიცნოთ ჩვენი ლურჯი მანქანების, მათ ზემოთ მოფრიალე ევროკავშირის დროშების და ჩვენი ლურჯი ჟილეტების მეშვეობით.

ჩვენ ჩამოვედით საქართველოში 2008 წლის 1 ოქტომბერს რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის ომის შემდგომ უსაფრთხოების ვითარებაზე დასაკვირვებლად. მას შემდეგ ჩვენ ვპატრულირებთ დღე და ღამე, წელიწადში 365 დღე, რათა დავაკვირდეთ და მოვახსენოთ საერთაშორისო საზოგადოებას მოვლენათა ნებისმიერი განვითარების შესახებ.

ჩვენ ამას ერთი განსაკუთრებული მიზნით ვაკეთებთ: საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონის სტაბილურობის ხელშეწყობა.

რას ვაკეთებთ ჩვენ

ჩვენი ქმედებები მიმართულია საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონში სტაბილურობასა და უსაფრთხო ვითარების ხელშეწყობისკენ. ჩვენ ამას რამდენიმე საშუალებით ვაკეთებთ:

1. ჩვენი დამკვირვებლები მუდმივად პატრულირებენ და აკვირდებიან ვითარებას. ეს ხელს უწყობს მხარეების მიერ ნებისმიერ საომარი მოქმედების განუახლებლობას. მათ იციან, რომ ჩვენ დავამოწმებთ და გავაკეთებთ შესაბამის მოხსენებას.
2. ჩვენ ხელს ვუწყობთ ნორმალური ცხოვრების დაბრუნებას იმ ადამიანებისთვის, რომელთა ცხოვრებაც ყველაზე მეტად დააზარალა ომმა. ჩვენ ვითვალისწინებთ ადამიანების ისეთ უფლებებსა და საჭიროებებს, როგორებიც არის გადაადგილების თავისუფლება და მისი გავლენა ჯანდაცვის, განათლების, პენსიის, საკუთრების და წყლის ხელმისაწვდომობაზე. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ ამ ინფორმაციას გადავცემთ მათ, ვისაც შეუძლია საჭირო დახმარების შეთავაზება.

ჩვენ არ ვართ ჰუმანიტარული ან განმავითარებელი ორგანიზაცია. შესაბამისად ჩვენ არ შეგვიძლია დახმარების პირდაპირ გაწევა ან კონკრეტული პროექტების დაფინანსება.

3. ჩვენ გვაქვს რამდენიმე პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტის მხარეების კომუნიკაციის და ინფორმაციის გაცვლის შენარჩუნებას. ეს ეხმარება დაძაბულობის პრევენციას და შემცირებას.
4. და ბოლოს, ჩვენს ყველა დაკვირვებას გადავცემთ ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს. ისინი იყენებენ ამ ინფორმაციას საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონის მიმართ უკეთესი პოლიტიკის შესამუშავებლად.